/|

ხელშეკრულება
(მონტაჟი შეღებვათაიანი პირობებით)
№ 50

ქ. ქუთაისი „28" 01 2014წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის **შალვა ჯაფარიძის** სახით (შემდგომში "შემსყიდველი"), ერთის მხრივ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო, მისი უფროსის **მამუკა ბერელიძის** სახით, (შემდგომში "შიმწოდებლად" წოდებული), მეორე მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. "მიმწოდებელი" უზრუნველყოფს დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის სამონტაჟო-საინსტალაციო სამუშაოების შესრულებას ააიპ ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის ობიექტში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. ონი ვახტანგ მეექვსის ქ. N41-ში.

1.2. მუხლი 2. **ანგარიშსწორების წესი და პირობები**

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მთლიანი ღირებულება ასახულია სამონტაჟო მასალების ხარჯთაღრიცხვაში და შეადგენს 209,10 (ორასცხრა ლარი და ათი თეთრი), ლარს დღგ-ს ჩათვლით;

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება შედგება:

ა) სახარჯი მასალების ღირებულებისაგან;

ბ) ობიექტის დაცვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, ,,მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით მის საკუთრებაში არსებული 209,10 (ორასცხრა ლარი და ათი თეთრი), ლარის დასამონტაჟებული მასალების ღირებულებისაგან;

2.3. ,,შემსყიდველი" ვალდებულია სახარჯი მასალის ღირებულება გადაიხადოს სამონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე;

2.4. ,,შემსყიდველი" ვალდებულია 2.2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღირებულება გადაიხადოს მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშ-ფაქტურის/ინვოისის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 საბანკო დღის ვადაში;

2.5. ხელშეკრულების 2.4. პუნქტში მითითებული თანხის სრულად გადახდის შემდეგ დანართი №1-ში მოცემული მასალები გადადის ,,შემსყიდველის" საკუთრებაში.

მუხლი 3. მხარეთა ვალდებულებები

3.1. **"მიმწოდებელი" ვალდებულია:**

3.1.1 შეასრულოს დაცვითი სიგნალიზაციის სამონტაჟო-გასამართი სამუშაოები საკუთარი ინვენტარითა და სამუშაო ძალებით;

3.1.2 უზრუნველყოს სამუშაოების დროული და ხარისხიანი შესრულება.

3.1.3 გააცნოს "შემსყიდველს" დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის ექსპლუატაციის ინსტრუქცია.

3.1.4 უზრუნველყოს სამუშაოების დასრულების დღიდან 6 თვის (საგარანტიო ვადა) განმავლობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯებით, თუ ისინი გამოწვეული არ არის ,,შემსყიდველის'' მიერ არსაწორი ექსპლუატაციით;

3.1.5 "მიმწოდებელმა" წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან და სახარჯი მასალის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღებიდან არა უგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა, დაიწყოს სამონტაჟო-საინსტალაციო სამუშაოების წარმოება;

..6 "შემსყიდველის" მიერ 3.2.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულების შემთხვევაში, ეზრუნველყოს არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღის ვადაში სამონტაჟო-საინსტალაციო სამუშაოების დამთავრება, თუ დასაცავი ობიექტის სპეციფიკა არ მოითხოვს დროის უფრო დიდ პერიოდს;
3.1.7 ,,მიმწოდებლის" მიერ გაწეულ მომსახურებაზე (სამონტაჟო-საინსტალაციო სამუშაოები) დგება მიღება-ჩაბარების აქტი 2 ეგზემპლარად, რომელთა თითო-თითო ეგზემპლარი რჩება მხარეებს.

3.2. **"დამკვეთი" ვალდებულია:**

3.2.1 უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის" სამუშაოების შესრულებისათვის აუცილებელი პირობებით;
3.2.2 დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის სამონტაჟო საინსტალაციო სამუშაოები მიიღოს მიღება-ჩაბარების აქტით, ხოლო სამუშაოების ღირებულება გადაიხადოს ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ვადებში;
3.2.3 უზრუნველყოს დამონტაჟებული სიგნალიზაციის ექსპლუატაციის წესების დაცვა;
3.2.4 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მის მიერ განხორციელებული არასწორი ექსპლუატაციის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრა;
3.2.5 არ დაუშვას ობიექტის დაცვის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში აპარატურის გადაკეთება ან შეკეთება დაცვის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში ,,მიმწოდებელი" არ აგებს პასუხს ,,შემსყიდველის" თვითნებური მოქმედებით გამოწვეულ გაუმართაობაზე (შეფერხებაზე) და მიღებულ ზიანზე.
3.2.6. ხელშეკრულების 2.4. პუნქტით გათვალისწინებულ ვადებში სამუშაოების ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. დამკვეთი ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს დამონტაჟებული, ხარჯთაღრიცხვაში მითითებული მასალების (მოწყობილობების) ,,მიმწოდელისათვის" უკან დაბრუნება;

მუხლი 4. ფორს-მაჟორი

4.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან ფორს-მაჟორული შემთხვევების დროს, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

მუხლი 6. სხვა პირობები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ობიექტის მოკვლევის აქტი და სამონტაჟო მასალების ხარჯთაღრიცხვა;

6.2 ,,შემსყიდველის" მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და შეწყვეტიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში განახორციელოს დამონტაჟებული, ხარჯთაღრიცხვაში მითითებული მასალების (მოწყობილობების) შემოწმება და დემონტაჟი;
6.3. მხარეები თანმხდებიან, რომ ,,შემსყიდველისათვის" დამონტაჟებული მასალები მათი ღირებულების გადახდამდე წარმოადგენს ,,მიმწოდებლის" საკუთრებას (სახარჯი მასალის გარდა) და მათი განზრახ ან გაუფრთხილებლობით დაზიანების შემთხვევაში ,,შემსყიდველი'' ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზარალი ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებული ღირებულების ოდენობით.

6.4 მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების 6.2 პუნქტის შესაბამისად ხელშეკრულების შეწყვეტისა და მოწყობილობების დემონტაჟის შემთხვევაში არ ექნებათ არანაირი პრეტენზიები ერთმანეთის მიმართ, ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა;
6.5 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

ა სადაო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის მემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით;

6.7 ხელშეკრულება შედგენილია ოთხი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან, ერთი ინახება `შემსყიდველთან, ხოლო სამი ,,მიმწოდებელთან".

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

`შემსყიდველი~
ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მის. ქ. ონი აღმაშენებლი მოედანი N1
ს/კ. №237978275
ანგ. NGE62LB0120115527055000 სს ,,ლიბერთი ბანკი"
ტელ. 599 282 103
საკრებულოს თავმჯდომარე /შ. ჯაფარიძე/

,,მიმწოდებელი"

შსს სსიპ– დაცვის პოლიციის დეპარტამენტის იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო
ს/კ 211350928, ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ.№9, ს.ს. „საქართველოს ბანკი" ცენტრალური ფილიალი, კოდი: BAGAGE22
ა/ა GE29BG0000000308831701.

იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის
პოლიციის სამმართველოს უფროსი /მ. ბერელიძე/

ხ ა რ ჯ თ ა ღ რ ი ც ხ ვ ა № 50

დაცვითი-საგანგაშო ტექნიკური საშუალებების მონტაჟის შესახებ

ხარჯთაღრიცხვის №	50	მასალის ღირ.	177,20
ხელშეკრულების თარიღი	28.01.14	მონტაჟი	0,00
ხელშეკრულების სტარტ თარიღი	28.01.14		
ხელშეკრულების ვადა		დღგ	31,90
ხელშეკრულების პროლონგაცია		ხელშეკრულების თანხა	209,10
დამკვეთის საინდეტიფიკაციო (პირადი) №	ს/კ №	237978275	
დამკვეთის დასახელება	ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო		
დამკვეთის მისამართი	ქ. ონი აღმაშენებლის მოედანი №1		
ხელმომწერი	შალვა ჯაფარიძე		
დამკვეთის ანგარიშის №	ანგ.№GE62LB0120115527055000		
დამკვეთის ბანკის კოდის №	სს „ლიბერთი ბანკი"		

№	საქონლის კოდი	შტრიხ-კოდი	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი		სულ თანხა	
						დღგ გარეშე	დღგ ჩათვლით	დღგ გარეშე	დღგ ჩათვლით
1	2		3	4	5	6	7	8	9
1	4867	90009888	აკუმულატორი 18 ა/სთ	ცალი	1	55,51	65,5000	55,51	65,500
2	4176	90013323	სამუხტი 1.5 ა/სთ	ცალი	1	26,27	31,0000	26,27	31,000
3	4124		კაბელი 8 წვერიანი	მეტრი	120	0,56	0,6600	67,12	79,197
4	4099		კაბელი 4 წვერიანი	მეტრი	50	0,29	0,3400	14,41	16,998
5	2974		სოპები	ცალი	4	2,54	3,0000	10,17	12,000
6	3137		საიზოლაციო ლენტი	ცალი	1	1,69	1,9942	1,69	1,994
7	1261		რელე	ცალი	2	1,02	1,2036	2,04	2,407
			ჯამი :		179	87,88	103,69781	177,20	209,0964

"შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი"

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ. ონი აღმაშენებლის მოედანი №1

ს/კ №237978275

საკრებულოს თავმჯდომარე /შალვა ჯაფარიძე/

"მიმწოდებელი"

ქ.ქუთაისი- ნიკეას №50

ს.კ. № 211350928

იმერეთი-გურიის რეგიონალური

დაცვის პოლიციის სამმართველოს

უფროსი: /მამუკა ბერელიძე/